საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს.„მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№31/22 „04“აპრილი 2022 წ.

შ.პ.ს. „გეობულინვესტი“-ს
ხელმძღვანელობას:

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, ისანის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი VI შესახვევი №1-ში აგებული და საპროექტო შენობების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი VI შესახვევი №1-ში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ№01.17.11.026.032 A2059მ^2), ეკუთვნის შ.პ.ს. „გეობულინვესტი“ -ს (იხ. ფოტო 1). მიწის ნაკვეთზე არსებობს 8 სართულიანი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აგებული მონოლითური რკინაბეტონის კარკასული შენობა (პირობითად „A“ ბლოკი. 01(9) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკადასტრო გეგმის მიხედვით). აღნიშნული შენობის მომიჯნავედ მდებარეობს ძველი, სარდაფის მქონე ერთ სართულიანი შენობა გაბარიტული გეგმითი ზომებით L×B=23×15მ. შენობა მზიდ კედლებიანია, ნაშენი ძირითადად წითელი აგურის წყობით დაბალი სიმტკიცის დუღაბზე. იგი ვერ აკმაყოფილებს სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებით (პნ.01.01-09) განსაზღვრულ მოთხოვნებს, რის გამოც შ.პ.ს. „გეობულინვესტი“-ს ხელმძღვანელობას სურვილი აქვს განახორციელოს მისი დემონტაჟი და ნაცვლად ააგოს ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი შენობა.

ამ მიზნით არქიტექტორ კონსტანტინე ტურავას მიერ დამუშავებულია სარდაფის მქონე რვა სართულიანი შენობის პროექტი (პირობითად „B“ ბლოკი) კერძოდ:

-სარდაფის სართული ნიშნულებში (±0.00)-(-3.30მ). სიმაღლე 330სმ.

დანარჩენი სართულები ნიშნულებში (±0.00)-(+26.30მ). სართულების სიმაღლეა 330სმ.

კორპუსის მზიდი კონსტრუქცია ამჟამად დამუშავების პროცესშია. იგი გადაწყვეტილი იქნება მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვან ვარიანტში. ±0.00მ. ნიშნული შეესაბამება გეოდეზიურ ნიშნულს 401.00 მ.



ფოტო1. შ.პ.ს. „გეობულინვესტი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვთი (ს/კ№01.17.11.026.032), შენობებთან ერთად.

საპროექტო შენობის დაფუძნების პირობების განსაზღვრისათვის, ლითოლოგიური ჭრილისა და საძირკვლების გეომეტრიული ზომების დადგენის მიზნით, ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიება., რომელიც შეასრულა ინჟინერ-გეოლოგმა ტარიელ ლომიძემ 2018წელს
საკვლევ უბანზე გამოყოფილია სამი ფენა. ფენა №1 თიხნარი ყვითელი ფერის, ნახევრადმყარი კონსისტენციის, წარმოდგენილია თიხნაროვანი მასით, კენჭების ჩანართებით. ფენის სიმძლავრეა 2.5მ
- ფენა №2. რიყნარი კაჭრების ჩანართებით 10%-მდე.თიხიანი ქვიშის შემავსებლით გავრცელებულია 2.5მ. სიღრმიდან 4.5მ. სიღრმემდე
-ძირითადი ქანი. თხელ და საშუალო შრეებრივი ქვიშაქვებისა (50%) და არგილიტების მორიგეობა. ფენების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია შესაბამისად:

ფენა №1

გრუნტის სიმკვრივე	- $\rho=1.91$ტ/მ^3.
ხვედრითი შეჭიდულობა.	- $c=0.20$კგ/სმ^2.
შიდა ხახუნის კუთხე	- $\varphi=20^0$
დეფორმაციის მოდული	- $E = 160$კგძ/სმ^2.
პირობითი საანგარიშო წინაღობა.	- $R_0=2.2$ კგძ/სმ^2.

ფენა №2

გრუნტის სიმკვრივე	- $\rho=1.95$ტ/მ^3.
შიდა ხახუნის კუთხე	- $\varphi=35^0$
დეფორმაციის მოდული	- $E = 500$კგძ/სმ^2.
პირობითი საანგარიშო წინაღობა.	- $R_0=5.0$ კგძ/სმ^2.

ფენა №3

გრუნტის სიმკვრივე	- $\rho=2.30$ტ/მ^3.
დეფორმაციის მოდული	- $E = 80000$კგძ/სმ^2.
პირობითი საანგარიშო წინაღობა.	- $R_0=250.0$ კგძ/სმ^2.

საკვლევი უბნის ფარგლებში გრუნტის წყლები არ ფიქსირდება.

როგორც საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედეგებიდან ჩანს, სამივე ფენა გამოსადების დასაძირკვლებისათვის. ვინაიდან სარდაფის იატაკის

ნიშნულია -3.3მ (გეოდეზიური ნიშნული 397.70მ.); საძირკვლის ფილის სისქე h=80სმ. (გეოდეზიური ნიშნული 396.9მ), ფილის ქვეშ ეწყობა 10სმ. სისქის ბეტონის მომზადება (გეოდეზიური ნიშნული 396.8მ.) რაც ნიშნავს, რომ შენობის დაფუძნება მოხდება ფენა №2-ზე, პრაქტიკულად უკუმშვად გრუნტზე, ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირობითად ბლოკი „A“ და პირობითად ბლოკი „B”-ს საძირკვლები გაერთიანდება და იქნება კონსტრუქციულად ერთი მთლიანი ნაშენი, ხოლო ზედა ნაწილები განცალკევდება ანტისეისმური ნაკერით რომლის ღრეჩო ტოლია 13სმ.-ისა. აქმგვარად დაკმაყოფილებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების სეისმომედეგი მშენებლობა პნ.01.01-09 მოთხოვნა.

დასკვნა.

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი VI შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „გეობულინვესტი“-ს მიწის ნაკვეთზე (ს/კ№01.17.11.026.032) არსებული 8 სართულიანი (პირობითად ბლოკი „A“ და საპროექტო-მშენებარე პირობითად ბლოკი „B”-ს საძირკვლების ურთიერთდაკავშირება (გადაბმა) შესაძლებელია და არ ეწინააღმდეგება სესისმომედეგი მშენებლობის ნორმების (პნ01.01.-09). მოთხოვნებს.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/